სახალხო ფურცელი

813 ოთხშაბათი, 8 მარტი 1917 წ. 813

განცხადების ფასი.

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ელირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ტელეფონი 12—29

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი
სახალხო ფურცელი
კვირეული სურათებიანი დამატებით
ღირს:

ერთი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 3 მ. 75 კ.

ხელის მოწერის ფასის გადახდა შეიძლება **ნაწილნაწილადაც:** ხელის მოწერის დროს 7 მანეთი, პირველ აპრილისთვის 4 მ. და პირველ აგვისტოსთვის 4 მ.

1 მარტიდან წლის დამლევამდე ღირს 13 მან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

მისამართის გამოცვლა ღირს 1 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება—სასახლის ქუჩა, № 6, შესასვლელი ეზოდან.

საფოსტო მისამართი: Тифлисъ, Ред. „Сахалхо Пурцели“, почтов. ящикъ 190.

---

5 მარტს გარდაიცვალა სოფ. ტყვიავში

პლატონ დიმიტრის ძე კორინთელი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **მარიამ ასლანის ასული კორინთლისა** და შვილნი: **ვასილ და ილია**, შვილის-შვილი **მიშა** და **რძლები**. დასაფლავება დანიშნულია ხუთშაბათს, 9 მარტს, ტყვიავის მიძინების ეკლესიის გალავანში. 283

ღრმად დამწუხრებულნი: **მღვდელი ეგნატე მენთეშაშვილი**, **მეუღლე მისი ოლა ნიხეილის ასული**, **დები ნინო**, **ქეთევანი** და **მარგალიტა**, **ძმები მიხეილ და ირაკლი ეგნატეს ძენი** აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 მარტს უდროოდ გარდაიცვალა მეორმოცე ლაზარეთის სათნოების და

თამარ მენთეშაშვილისა,

რომლის გამოსვენება დანიშნულია ხუთშაბათს 9 მარტს შუადღის 2 საათზე არამიანცის სახელობის საავადმყოფოს სამლოცველოდან დიდუბის ეკლესიაში, სადაც მოხდება დაკრძალვა იმავე დღეს. 287

---

6 მარტს მეორმოცე ლაზარეთში უდროოდ გარდაიცვალა სათნოების და

თამარ ეგნატეს ასული მენთეშაშვილისა

რასაც უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ **ბებია მარიამი, ბიძები: ივანე, გრიგოლი და რაჟდენა, ძალუები ანნა, ფელიცა და ელისაბედი, ჩიძაშვილები, ბარბარე. შურა და ვენერა მენთეშაშვილები.** გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს 9 მარტს შუადღის 2 საათზე არამიანცის სახელობის სამლოცველოდან დიდუბის ეკლესიაში, სადაც მოხდება დაკრძალვა იმავე დღეს. 286

პავლე დავითის ძე და მარიამ ნიკოლოზის ასული გვარამაძენი შვილებით უძღვნიან გულითად მადლობას 116 პოლკის ოფიცრებს **და ყველას**, ვინც პირადი დასწრებით, დეპეშებით და წერილობით თანაგრძნობა გამოუცხადა მათი ძვირფასი შვილის

დათიკოს

ბაქოში გარდაცვალების გამო. 286

გულდამწვარი დაი ბარბარე ბესარიონის ასული და სიძე სამსონ გრიგორის ძე საყვარელიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 მარტს საღამოს 4 საათზე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის გარდაცვალების პანაშვიდი

გიორგი ბესარიონის ძე გელაძეს

სულის მოსახსენებლად. 288.

ივანე ქიტესას ძე სალომე ანდრიას ასული და შალვა ივანეს ძე ქავთიაშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ უდროვოდ გარდაცვალებას პირველი დისას მეორე მულისას და მესამე საყვარელ მამიდას

პელაგია ქიტესას ასული ბარნოვისას

პანაშვიდი ოთხშაბათს საღამოს 7 საათზე ანდრეევის ქუჩა № 14. გამოსვენება და დაკრძალვა წმ. ნინოს ეკლესიაში ხუთშაბათს 9 მარტსა.

ვასილი გრიგოლის ძე და ალექსანდრა დავითის ასული, ბარნოვები. ოლღა გრიგოლის ასული არეშოვისა ქმრით, მარიამ გრიგოლის ასული ტლაშაძისა ქმრით, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას დედისა, დედამთილისა და სიდედრისა

პელაგია ქიტესას ასული ბარნოვისა

პანაშვიდი ოთხშაბათს საღამოს 7 საათზე, ანდრეევის ქუჩა № 14 გამოსვენება და დაკრძალვა წმ. ნინოს ეკლესიაში, ხუთშაბათს 9 მარტს.

გულდათუთქული დედა **მართა დარიხპანის ასული ალავიძისა, ძმა ივანე ვლადიმერის ძე, დები: ოლღა და ნინო ვლადიმერის ასული საყვარელიძისა, რძალი ელენე დავითის ასული და სიძე ამბერკი ალექსანდრეს საყვარელიძე შვილებით აუწყებენ** ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მეოთხე კლასიკური გიმნაზიის მეექვსე კლასის შეგირდის საყვარელი

გოგას

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება 9 მარტს დილის 10 საათზე საკუთარ სახლიდან (ჩერქეზოვის ქუჩა № 107), დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი 8 მარტს საღამოს 7 საათზე. 289

ქართველო ქალებო შეიკრიბენით

ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს ქართველ ქალებს, რომ შაბათს, 11 მარტს დღის თორმეტ საათზე „ძმურ ნუგეშ“-ში (გოლოვინის პროსპ. № 16)

დანიშნულია საგანგებო კრება

1078

ექიმი ქალი
ს. ზ. მირზოევი
[illegible]
ტელეფონი, № 18 67 9140

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ
პ. ს. ფონ-ირტელისა
სპეციალისტი ქირურ., საშარდე-საშვილ., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასინჯვა, ბუასილი, უკაცრობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმლების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესაგ. [illegible] ქ. 1, [illegible]. 1352

ექიმი
თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება [illegible] 5—7 საათ. მისამართი [illegible] ქ. 18. ტელეფ. 11-82 216

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77 1059

ექიმი
მ. დ. წინამძღვარიშვილი
ყოფილი ორდინატორი თერაპევტიულ კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. **გულისა, ფილტვისა და სისხლის ხნეულ. სპეციალურად.** იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 86, მეორე სართული. 1059

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპ. № 171.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ქუთაისში
ექიმი
მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 1 ს., საღამოს 5—8 ს. ტფილისის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. 1051

ექიმი
ბ. ბ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, საშარდის და [illegible] შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილის ქ. № 33. ტელ. 13—17. 457

ექიმი კბილისა
ნინო რეხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 [illegible] ქუჩის შესახვევის 31.

ექიმი
კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქიშინევის ქუჩა № 4. საკუთარი [illegible] ტელეფ. 15—00. 1008

ექიმი
ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა. ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1064

ექიმმა
ფავლენიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 151

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

განთავისუფლებული რუსეთი

ტფილისი, 8 მარტი, 1917 წ.

ახალ მთავრობის შედგენა. დახავსებულ წესწყობილების დანგრევამ ახალი საქმე წამოგვიყენა: ადგილობრივ მთავრობის შედგენა. პეტროგრადიდან უკვე წამოსულან რევოლუციონურ მთავრობის კომისარები როძიანკო მეორე და სკობელევი ადგილობრივ მთავრობის სახელმძღვანელოდ. მაგრამ ღირსება ეხლანდელ მთავრობისა იმაში მდგომარეობს, რომ მთელ ადგილობრივ ადმინისტრაციის შექმნას ძირიდან დაიწყებენ და არა მოხელეთა მაღლიდან დანიშვნით. მთავრობის პროგრამაშიაც ნათლად არის წარმოდგენილი, რომ ადგილობრივ მთავარ მოხელეებს ხალხი არჩევნებით დანიშნავსო.

ამნაირად, კომისარების ჩამოსვლა მთავრობის შედგენის სისტემაში ცვლილებას არ შეიტანს, უფრო წესიერებისა და გარკვეულობის სახეს მისცემს. გარდა ამისა, მუდმივ მთავრობის მაგიერ შეიძლება საკმაო ხნით იარსებოს იმ მთავრობებმა, რომელნიც ადგილობრივად დროებით არიან შექმნილი. ამიტომ შეუძლებელია დროებითი მთავრობის შედგენაში მონაწილეობა არ მიიღოს საზოგადოების სხვა და სხვა წრემ, რომ ამნაირად მთავრობის სახეს ძალას, გავლენას სათანადო მნიშვნელობა ჰქონდეს ახალ მთავრობის შედგენაში უნდა გვიტაცებდეს არა მდგომარეობა, უფლება და მესვეურის როლი, არამედ პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობის განაწილებაში ვპოებდეთ პოლიტიკურ და ზნეობრივ კმაყოფილებას.

სამწუხაროდ, ამ პრინციპს თუ მორალს ტფილისის მთავრობის შედგენაში არ აქვს ადგილი. 6 მარტის კრების მუშაობა ქალაქის თვითმართველობაში ამ მხრივ ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. დღეს უკვე შედგენილია ტფილისისათვის აღმასრულებელი კომიტეტი, მაგრამ ამ კომიტეტის (დროებითი მთავრობა) შემადგენლობა თან და თან შეიძლება გაფართოვდეს და „მარცხიც“ შესაძლოა გამოსწორდეს. მაგრამ სალი პრინციპი კი უეჭველია, ეხლავე უნდა გვქონდეს შესისხლხორცებული. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მთელი კავკასია ტფილისს შესცქერის და იმის მიხედვით იმოქმედებენ ყველგან მთავრობის შედგენისას.

6 მარტის კრებაზე ქალაქის მთავრობის მესვეურად ორი ძალა მოევლინა: 1) მუშათა საბჭო და ტფ. ქალ. თვითმართველობა. მონაწილეობას მიიღებენ: ჯარი და პოლიტიკური პარტიები. პოლიტიკურ პარტიათა მორალური ღირებულება ყველასათვის ცხადია და ამ მოტივით ესენი მთავრობის შედგენაში მონაწილეობას იღებენ, მაგრამ მიმდინარე ცხოვრების და რევოლიუციის მესვეურად კრებამ წარმოიდგინა პროლეტარიატი, ბურჟუაზია და ჯარი. ეხლა იმის დრო არ არის გამოვიძიოთ თუ მართლა ვინ გამოხატავს პირველს, მეორეს თუ მესამეს, მაგრამ ეს რომ მართლა ასე იყოს, მაშინ კიდევ უფრო უნდა ვცდილობდეთ, რომ მთავრობის შედგენაში მეტი მონაწილეობა მივაღებინოთ იმ მასსას, რომელსაც ვერც პროლეტარიატი, ვერც ბურჟუაზია და ვერც ჯარი დაჰფარავს. დემოკრატია და წვრილი ბურჟუაზია ყოველ თავის ორგანიზაციით ხმას უნდა იღებდეს ახალ მთავრობის შედგენაში თუ ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული, რომ მთავრობა წარმოადგენდეს სახეს საზოგადოებისას. სოფლად კი ასეთი ძალაა გლეხ-კაცობა. გლეხ-კაცობასაც არ შეეძლო მიეღო (თუ ჯარის გლეხკაცობის ძალად არ დავსახავთ) სათანადო მონაწილეობა რევოლუციაში, მაგრამ მის მონაწილეობას მთავრობის შედგენის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საზოგადოდ, აქ საყოველთაო საარჩევნო პრინციპს უნდა ვიყენებდეთ. რამდენადაც კი ეს შესაძლებელია, მაშასადამე ტფილისის მთავრობის შედგენაში შეუძლებელია მონაწილეობა არ მიიღოს ვაჭარ-მრეწველთა გვერდით თავად-აზნაურობამაც, როგორც ასეთმა. რასაკვირველია არა იმიტომ, რომ თავად-აზნაურობა წოდებას წარმოადგენს და წოდებრიობას კი ჩვენ ვსპობთ, არამედ იმიტომ, რომ წოდებრიობის მოსპობით თვით მოქალაქენი, ყოფილნი აზნაურნი და თავადნი რჩებიან და კი არ ისპობიან. ხალხური სამართალია ვისაც ფული აქვს და შეიძლება თავადიც იყოს მონაწილეობას იღებდეს მთავრობის შედგენის საქმეში, ხოლო უყურადღებოდ სტოვებდეთ ხალხს მხოლოდ იმიტომ, რომ მას მიწა აქვს და არა ფული. პირიქით, მიწა ჩვენში უფრო პროგრესიულ ინტერესებს მოითხოვს, ვიდრე ფული, რომლის რეაქციონური სახეობა ეხლა ყველასთვის ცხადია.

ჩვენ მოვითხოვთ, საყოველთაო საარჩევნო პრინციპი რამდენადაც შეიძლება ეხლავე იქმნას დროებითი მთავრობის შედგენაში დაცული, რომ მთავრობა არ გამოხატავდეს ძველ მთავრობის მაგვარ კლასობრივ ორგანიზაციას. ჩვენ პრინციპიალურად ვეწინააღმდეგებით ყოველგვარ დიქტატურას, ვისიც უნდა იყოს იგი, და ყოველის საშუალებით შევებრძოლებით დიქტატორულ მისწრაფებას.

ტფილისელმა სოციალისტ-ფედერალისტ მუშებმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს იუსტიციის მინისტრს კერენსკის

ჩვენ, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტი მუშები აღტაცებით აღსავსენი რუსეთის რევოლუციის გამარჯვების და ძველი უუფლებობის და მტარვალურ ჩაგვრის მთავრობის დამხობის გამო, წრფელ სალამს გიძღვნით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო, დემოკრატიის დიდ გამარჯვებისათვის. ახალი წყობილების ძლიერება და მომავალი, დამოკიდებულია ჩვენს გაერთიანებასა და ყველა ერების ერთსულოვნობაზე, რის მიღწევაც შეიძლება რუსეთში მოსახლე ყველა ერთა ეროვნულ-პოლიტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით და კერძოდ საქართველოსათვის პოლიტიკურ ავტონომიის მინიჭებით, რაც აუცილებელი პირობაა ქართველი ერის დემოკრატიის განვითარებისათვის.

კიტა აბაშიძემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა აღმასრულებელ კომიტეტის წევრს დეპუტატ კერენსკის.

ამხანაგებო ესალმებიან თქვენს პირადობაში განახლებულ რუსეთს და ჭეშმარიტი სიხარულის გრძნობით დღეგრძელობენ იმ ამბავს: დიდი სახელმწიფოს ბედის გამგებლად არიან ღირსეულნი კაცნი. ქართველი ერის წარმომადგენელნი ელიან, რომ განახლებული რუსეთი გაასწორებს საუკუნის ცოდვას, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ საერთაშორისო ხასიათის ქართველ ერის ტრაქტატი „ნახევ ქაღალდად“ აქცია ძველმა რეჟიმმა და იმედი აქვსთ, რომ ეხლა მაინც განხორციელდება მათი სამარადისო ლტოლვილება ავტონომიურ თვითმართველობისა დემოკრატიულ საფუძველზედ. ჩვენ კი მზადა ვართ მთელის ჩვენის სისხლით მხარი მივსცეთ რუსეთს, რომელიც დაადგა ერთად ერთ გზას განახლებისას.

ქართული პრესა

„ჩვენი მეგობარი„ მიესალმება რუსეთის რევოლუციას და სწერს: ქართული ერის უფლებანი დღეს აღდგენილ უნდა იქმნეს, ამას მოითხოვს მომენტი, ამას მოითხოვს ის მსხვერპლი, რომელიც ქართველმა ერმა შესწირა დადებულ პირობების ერთგულებას, ქართველებს უნდა მიეცეთ ავტონომია სრული დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული. ამ დიადი ომის ლოზუნგი არის მცირე ერთა უფლების აღდგენა. „დარღვეულ პირობათა“ წმინდად აღიარება და თუ ეს ასეა, განახლებული რუსეთის წმინდა მოვალეობაა პირველად ძველი ცოდვები გაასწოროს და მოინანიოს:.. ეს სრულიად მოსალოდნელია, მაგრამ ამისთვის საჭიროა ქართველებმა ერთსულ და ერთგულ განაცხადონ თავის უფლების შესახებ.

დავივიწყოთ ამ დიდებული მომენტის დროს ყოველივე წვრილმანი ჩვენი დავა-დავიდარება, რომელიც იყო შედეგი იმისა, რომ ვიყავით ჩვენ „მწუხარებით მაძღარნი და ნაღვლითა დამთვრალნი,“ იერემია წინასწარმეტყველის თქმის არ არ იყოს, ერთხმად მოვითხოვოთ ჩვენი ერის უფლებები, ჩვენი ერის უფლება, რომელიც მოიპოვა მან ათასი წლის ბრძოლითა და სისხლის ღვრით. ნუ ჩავიდენთ სამარცხვინო და სასიკვდილო დანაშაულს. ქართველი ერის უფლებას ვერავინ მოსპობს—ხოლო ამ უფლების აღდგენის გადადებამ მძიმე ტვირთად აწევს საქართველოს, მის განაწამებ, დიდათ ნიჭიერ, ფრიად კულტურულ ერს.

მაშ ერთხმად ყველამ აღვიაროთ მშვენიერი საქართველოს შელახულ უფლებათა აღდგენა, საქართველოსთვის სრული დემოკრატიული ავტონომია.

ეს უნდა იყვეს მთელი ქართველი ერის ლოზუნგი.

მხოლოდ ეს შთაბერავს ჩვენ მამაც ერს კიდევ ერთხელ გმირულს სულს საერთო სახელმწიფოს ინტერესის დასაცველად.

რევოლუციის დეპეშები

სინოდის აზრი მეფის გადადგომაზე

პეტროგრადი, 6 მარტი. 1917 წლის 6 მარტს უწმინდესმა სინოდმა შემდეგი დაადგინა: უწმინდესმა სინოდმა რუსეთის მართლმადიდებელთა ეკლესიისამ, მოისმინა რა 1917 წლის 2 მარტს მეფე ნიკოლოზ მე-2 ტახტიდან გადადგომის და უზენაეს უფლებაზე ხელის აღების ამბავი, აგრეთვე უარი მიხეილ ალექსანდრეს ძისა ტახტზე ასულიყო, ვიდრე დამფუძნებელი კრება არ შეიკრიბება და ძირითად კანონებს არ შეიმუშავებს, დაადგინა: ხსენებული აქტები მხედველობაში მიიღოს და ყველა ტაძრებში წაკითხულ იქმნას—სოფლებსა და ქალაქებში მაშინვე წაკითხულ იქმნეს უქმე დღეებში. უნდა გადაიხადონ პარაკლის მშვიდობიანობისათვის და რუსეთის სადღეგრძელოდ. საამისო ცირკულიარები ყველა უწყებებს ეგზავნება.

მთავრობის აღიარება.

პეტროგრადი, 6 მარტი. ახალ მთავრობის ძალა-უფლება აღიარეს შემდეგმა ქალაქებმა: მოგილიოვმა, თემირ-ხან-შურამ, სლუცკმა, ნიკოლაევმა, ტამბოვმა, ბაქომ, თეოდოსიამ, ტობოლსკმა, ვიტებსკმა, ბახმუტმა, კავკავმა; ყველგან აღმასრულებელი კომიტეტები აირჩიეს.

განათლების მინისტრის განკარგულება.

კიევი. 6 მარტი. სამოსწავლო ოლქის მზრუნველს განათლების ახალ მინისტრ მანუილოვისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: ქვეყნის კეთილდღეობა მოითხოვს უკანასკნელ დროს შეწყვეტილ მუშაობის განახლებას. კეთილ ინებეთ და სთხოვეთ უფროსებს, მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლე ახალგაზდობას სწავლას შეუდგნენო.

მზრუნველმა შესაფერი განკარგულება გასცა.

უცხოელების აზრი

პარიზი. კლემანსო სიხარულით ეგებება რუსეთის რევოლციას და აკვირვებს რუსეთის ნაციონალური ენერგია. ახლა გამარჯვება გერმანიაზე უზრუნველყოფილიაო.

ლონდონი. ყველა გაზეთები სიხარულით აღნიშნავენ რუსეთის გარდაქმნას, რომლის შესახებ არც კი შეეძლოთ ოცნება თვით რუსებსაო, თან აფრთხილებენ: რეაქციონერები საბოლოოდ დამარცხდნენ, მაგრამ არ გამქრალან, ისინი კიდევ წამოჰყოფენ თავსა და ერთობაა საჭიროვო.

ბეჭდვითი სიტყვის სამართველოს გაუქმება.

პეტროგრადი, 5 მარტი. დროებითმა მთავრობამ გააუქმა ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამართველო.

დაითხოვეს სამსახურიდან შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგები ანციფეროვი და სოსნოვსკი და სასურსათო საქმის გამგე კოვალევსკი.

გაფიცული მუშების დაჯილდოება.

პეტროგრადი, 5 მარტი. დროებითმა მთავრობამ ვაჭრობის მინისტრის კონოვალოვის წინადადებით დაადგინა მისცეს სრული ქირა სახაზინო ქარხნების მუშებს იმ დღეებისთვის, როდესაც რევოლუციის გამო მუშაობა შეწყვეტილი იყო. მინისტრმა შეატყობინა მთავრობას, რომ ხსენებული წინადადება შემოაქვს თანახმად პეტროგრადის მექარხნეებისა და მეფაბრიკეების დადგენილებისა.

ფინლანდიაში.

დროებითი მთავრობის კომისარებმა, რომლებიც დანიშნულნი არიან ფინლინდიის საქმეებისთვის, განუცხადეს სტატს-სეკრეტარიატის მოსამსახურებს, რომ დროებითი კომისერების, მათის თანაშემწეების და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობა დროებით ექნებათ ხელში იმპერიის მკვიდრთა და მალე ყველა ადგილზე დაინიშნებიან ფინლანდიელები.

მალე მინისტრთა საბჭოს ექნება სხდომა მანიფესტის გამოცემის შესახებ, რომელიც დაადასტურებს ფინლანდიის თავისუფლებას. დროებითს მთავრობას მოლაპარაკება აქვს სახელმწიფო საბჭოს წევრთან როზენთან, რომ მიიღოს ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობას.

გუბერნატორების და პოლიციის გადაყენება.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპეშა დაუგზავნა საერობო გამგეობათა თავმჯდომარეებს, რომ გუბერნატორები და ვიცე-გუბერნატორები გადაყენებულნი არიან, მათი ადგილი უნდა დაიკავონ ერობათა თავმჯდომარეებმა. პოლიცია უნდა გადაიქცეს მილიციად და ყველაფერში დაემორჩილოს ადგილობრივ თვითმართველობას.

სურსათი.

პეტროგრადი, 5 მარტი. მიწათმოქმედების მინისტრმა შინგარიოვმა გაუგზავნა ცირკულიარული დეპეშები რწმუნებულებს, რომელთაც მინდობილი აქვთ პურის ყიდვა ჯარისთვის, რომ საჭიროა საგანგებო ზომების მიღება ჯარის უზრუნველყოფისათვის და გუბერნატორებმა უნდა გადასცენ სასურსათო საქმე საგუბერნიო საერობო გამგეობათა თავმჯდომარეებს და სადაც ერობა არაა, ქალაქის თავებს.

მუშაობის განახლება.

მუშათა და სალდათების დეპუტატების საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია მუშაობის განახლება პეტროგრადში, რადგან მდგომარეობა სერიოზულია.

ცნობები პროვინციიდან.

პეტროგრადი. 5 მარტი. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ყოველ დღე უთვალავი ცნობა მოსდის, რომ პროვინციებში დიდის აღტაცებით ეგებებიან ახალს მთავრობას. ტაგანროგში აღფრთოვანებაა, ჯარი და აფიცრობა გადავიდა მთავრობის მხარეზე. შესდგა აღმასრულებელი კომიტეტი და მუშათა დეპუტატების საბჭო. სარატოვში დაწესდა სამხედრო კომიტეტი, გამოვიდა „მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებანი“. ტულაში დაატუსაღეს ჟანდარმერიის და მაძებარ პოლიციის უფროსები. მაღაზიები, სრული წესიერებაა. ვორონეჟში დაატუსაღეს პოლიცია, აღძრულია საკითხი, რომ პოლიციელები ფრონტზე გაიგზავნონ. ტამბოვში დააწესეს სახალხო მილიცია, გლეხები თანაუგრძნობენ რევოლუციას. ეკატერინობურგსა და ურალის ქარხნებში ახალს მთავრობას მიეგებნენ სიხარულით. სამარაში სამხედრო და სამოქალაქო მართველობა დაემორჩილა დროებით მთავრობას, ხალხი და ჯარი ერთადაა. პეტროზავოდსკში მეფის გადადგომას მანიფესტაციებით შეხვდნენ, ოდესაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და აღტაცება გამოიწვია. შავრაზმელთა მეთაურებს ქალაქიდან აგზავნიან.

სენატი

პეტროგრადი. 5 მარტი. ახლო მომავალში დაინიშნებიან ახალი სენატორები.

დროებით მთავრობის მოწოდება.

პეტროგრადი, 6 მარტი. ოფიციალური. დროებით მთავრობისაგან. „რუსეთის სახელმწიფოს მოქალაქენო. დიადი ამბავი მოხდა. რუსეთის ხალხის ძლიერმა ბრძოლამ ძველი წესწყობილება დაამხო. იშვა ახალი თავისუფალი რუსეთი. დიადი რევოლუციით გათავდა მრავალი წლის განმავლობაში წარმოებული ბრძოლა. 1905 წლის 17 ოქტომბრის აქტით ხალხის მოძრაობის გავლენით რუსის ხალხს კონსტიტუციას დაჰპირდნენ. მაგრამ ეს დაპირება არ აუსრულებიათ. ხალხის იმედების გამომხატველი—პირველი სახელმწიფო სათათბირო დაითხოვეს. მეორე სათათბიროსაც ასეთი ბედი ეწია და რაკი მთავრობამ იგრძნო, რომ ხალხის ნებისყოფის მოდრეკა შეუძლებელია და ამიტომ 1907 წლის 3 ივნისის აქტით ძველმა მთავრობამ უკან წაართვა ხალხს საკანონმდებლო დაწესებულებებში მონაწილეობის უფლება. მთელი ათი წლის განმავლობაში რუსეთის ხალხს ნელნელა ართმევდნენ ბრძოლით მაპოვებულ უფლებებს. რუსეთი ისევ ბნელეთში ჩააგდეს და სჩაგრავდნენ. ყოველი ცდა მთავრობის მორჯულებისა ამაო იყო და ამ მსოფლიო ომის დროს, როდესაც სამშობლოს მტერი შემოსეოდა, მთავრობა სრულიად დაავადებული, დაცემული, ხალხისაგან გათიშული და სიბინძურეში ჩაფლული დაგვხვდა. ვერც ჯარის გასაოცარმა გმირობამ, რომელსაც შინაური ცხოვრების მოუწყობლობა უშლიდა ხელსა, ვერც ხალხის წარმომადგენელთა ხმა, ვერ იმოქმედა ყოფილ იმპერატორზე და ხალხთან ერთობა ვერ აიძულა და როდესაც ძველმა მთავრობამ დაღუპვის გზაზე დააყენა და უფსკრულს მიუახლოვა ჩვენი სამშობლო—ხალხი იძულებული იყო თვითონ აეღო ხელთ მართვა-გამგეობის სადავე. ხალხის რევოლუციონურმა აღტყინებამ და სათათბიროს მტკიცე ნაბიჯმა შეჰქმნა ახალი დროებითი მთავრობა, რომელსაც თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია ხალხის სურვილების ასრულება და რუსეთის გამოყვანა თავისუფლების გზაზე. მთავრობას სჯერა, რომ ხალხის პატრიოტიზმი, ჯარისკაცებსაც მოედება და აღაფრთოვანებს. თავის მხრით ახალი მთავრობა ყოველ ზომას იხმარს, რათა ყოველივე საჭიროება ჯარისა სავსებით დაკმაყოფილებული იყოს და ომს აწარმოებს გამარჯვებამდე. მთავრობა მტკიცედ დაიცავს მოკავშირებთან დადებულ პირობებს და აღასრულებს ყველა დაპირობებს. ახალი მთავრობა იზრუნებს გარეშე მტრის მოსაგერებლად, მაგრამ არ ავიწყდება შინაური საქმეებიც, იგი თავის უპირველ მოვალებად სთვლის რაც შეიძლება ჩქარა მოიწვიოს დამფუძნებელი კრება საერთო თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რანაირი სახელმწიფოებრივი ფორმა დამყარდეს რუსეთში. ამ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ სამშობლოს გმირმა დამცველობამ—ჯარისკაცებმაც. დამფუძნებელი კრება გამოსცემს ძირითად კანონებს, რომელიც უზრუნველჰყოფს სამართლიანობას, თავისუფლებასა და თანასწორობას მაგრამ დამფუძნებელ კრებამდე ახალ მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ახლავე უზრუნველჰყოს ხალხის სულიერად თავისუფალი განვითარება და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოების არჩევის ორის უნდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. ხალხის განთავისუფლების ჟამს შეუძლებლად მიგვაჩნია არ მოვიგონოთ ისინი, ვინც თავისი თვისი გასწირა თავის პოლიტიკურ ან რელიგიური რწმენისათვის და იტანჯებიან ძველი მთავრობის მიერ დასჯილნი ციხეებსა და შორეულ ქვეყნებში. დროებით მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მათი დაბრუნება დიდის პატივით. ასრულებს რა ამ საქმეს, დროებით მთავრობას სჯერა, რომ იგი ხალხის საქმეს აკეთებს და უკანასკნელი ყოველთვის მხარს დაუჭერს მთავრობას რუსეთის ბედნიერებისათვის ბრძოლაში. ეს რწმენა ახალისებს და ძალას ჰმატებს ახალ მთავრობას. მხოლოდ ხალხის დახმარებასა და თანაგრძნობაში ჰხედავს მთავრობა ახალ წესწყობილების საბოლოო გამარჯვების უზრუნველყოფას.

კერძო დეპეშები.

— მოსკოვის გაზეთების ცნობით, როდესაც მეფე ფსკოვს მიდიოდა მატარებელს ორთქლმავალი გაუფუჭდა. მატარებლის კომენდანტმა ახალი ორთქლმავალი მოითხოვა, მაგრამ უარი უთხრეს. კონვოიმ ერთი ორთქლმავალი დაიკავა და ვაგონებს საჩქაროდ მიაბა.

— სახელმწიფო სათათბიროს შენობაში მოვიდა განმათავისუფლებელ მოძრაობის ვეტერანი—ლოპატინი.

— დააპატიმრეს ბეილისის საქმეში მონაწილე პროკურორი ვიპპერი.

— ფრონტიდან ჩამოსულმა პურიშკევიჩმა სთქვა—მომხდარი ამბავი სისხლის ღვრას არ გამოიწვევსო. ჯარს აღაფრთოვანებს ის, რომ შტიურმერი და პროტოპოპოვები ჰორიზონიდან გაჰქრნენ. ძველი მთავრობა მოწადინებული იყო ზავსა. მოკავშირეთა შორის კი ისეთი ხელშეკრულება იყო დადებული, რომ სეპარატიული ზავის ჩამოგდების უფლება ეძლეოდა რუსეთს ისეთს შემთხვევაში, თუ კი მღელვარება—მოძრაობა დაიწყებოდა. ამიტომ საკვირველი არაა, თუ პროტოპოპოვები და შტიურმერები ყოველ ზომას ხმარობდნენ ხსენებული მღელვარება გამოეწვიათ.

— საინტერესო იყო კერენსკისა და ძველ მინისტრის დობროვოლსკის ლაპარაკი. დობროვოლსკი იჯდა კერენსკიმ უთხრა: „თქვენ გაქვთ პატივი დეპუტატთან ლაპარაკისა. ინებეთ ფეხზე წამოდგომა“. დობროვოლსკი მაშინვე წამოდგა.

— პეტროგრადიდან მოსკოვს დაბრუნებულ ლედნიცკის უთქვამს, რომ დიდ მთავრებს მიხეილს, კირილეს და დიმიტრის უკითხავთ როძიანკოსთვის —როდის ინებებთ ჩვენს მიღებასაო. როძიანკო პასუხის შემდეგ ისინი მყისვე გაჩნდნენ სახ. სათათბიროში.

— პეტროგრადს გამოიწვიეს საზღვარ-გარეთიდან პლეხანოვი და კროპოტკინი.

— შრომის ჯგუფმა მოწოდება გამოსცა: ერიდენით პარტიულ ბრძოლას, რადგან საქმე ჯერ არ გათავებულა. მირჩევთ დაემორჩილოთ ახალ მთავრობას, სადაც ხალხის უფლების მედგარი დამცველნი არიან.

— როგორც მკითხველებს გაეგებათ, დიდი მთავარი დიმიტრი პავლეს ძე რასპუტინის მოკვლისათვის სპარსეთს გადაასახლეს. დიდი მთავრები სთხოვდნენ თურმე მეფეს, განთავისუფლეთ დიმიტრი, დამნაშავე არააო. მეფემ უარი უთხრა თავის ცოლის გავლენით, რომელიც გაჯიგებული იყო რასპუტინის მოკვლის შემდეგ. რასპუტინი თურმე ყველგან იმპერატრიცას „საშკას“ ეძახდა და მისგან მოქარგულ პერანგს უჩვენებდა ყველასა. ეს ძლიერ აწუხებდა და შეურაცხყოფდა დიდ მთავრებს, ისინი თითქმის აღარც ელაპარაკებოდნენ მეფესა.

— დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე გატჩინიდან პეტროგრადს მიდიოდა და სწრაფი მატარებელი მოითხოვა. მუშათა დეპუტატების სა-

ჩემი ტყვეობა

(ალკიის უგავილები).

> ტყის ფოთლებს მოწყვეტილს
> ვამგზავსე მე მოდგმა კაცთა.
> ჰომიროსი. „ილიას“.
> სიმღერა მე-345.

მე მყავდა ერთი მეზობელი—სოფელში „ფილოსოფოსად“ წოდებული. თუმც უბრალო გლეხი იყო, მაგრამ მისი თქმანი, ხალხურ ანდაზებისა და არაკების სახით, მისი მდაბიოდ გამოთქმული აზრები—არა ერთხელ გაკვირვებით მომისმენია, მას რომ წერა შესძლებოდა, შესძლებოდა თავის ზრახვათა აკინძვა—ზოგიერთი მისი შეხედულება, — რომელიმე ევროპიელ ესაისტის ნაწერს დაამშვენებდა... მდაბიო ხალხსაც ხომ თავისებური ფილოსოფია აქვს სიცხადეში ნაცადი.

ჰო, ჩემი მეზობელი ტაია—(მისი სახელია), არა ერთხელ შემხვედრია ხოლმე მახლობელ დაბიდან მომავალს —მისალმების შემდეგ მიკითხავს, საით ტაია? თუნდ სათოფეზედაც რომ ვყოფილიყავით დაბიდან მოშორებული, მეტყოდა ხოლმე: „დაბაში ჩასვლას ვაპირობო“.

წინად მიკვირდა, რად იტყოდა ხოლმე: „ფილასოფოსი“ ტაია „ვაპირობო“

დღეს კი ნათელია ჩემთვის რად მაძლევდა ტაია ასეთ პასუხს.

ჩვენი ცხოვრების გზა—უხილავის, შეუცნობის კვალს მისდევს... ხშირად ცხოვრების ზეიმზე მიწვეულნი გლოვის ძაძებით უკუ იქცევიან—ხშირად შვების ნექტარით აღსავსე აზარფეშას ხელს უწვდით და ნექტარის ნაცვლად შხამს წააწყდებით, ხანდახან ერთი ნაბიჯი გაგვიდგია მიზნამდის—და სწორედ უკანასკნელი ნაბიჯია საბედისწერო...

1914 წელს, ივლისს, ბავარიის დედაქალაქში ვსეირნობდი.

უწინ ასეთი ჩვეულება მქონდა, როცა ევროპის რომელიმე კულტურულ ცენტრში მოვხვდებოდი, ქალაქს მხოლოდ მაშინ დავათვალიერებდი როცა იმ ქალაქიდან წასვლას განვიზრახავდი—აქ კი, უღალატე ამ ტრადიციას. მთელი თვე მოსვენება არა მქონდა შთაბეჭდილებათა განცდას ვერ ვასწრებდი.

ხშირად მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ განიცდი ადამიანი იმდენ სიხარულსა და შვებას—რამდენსაც ერთ თვეს, ერთ კვირას.

ძველი და ახალი პინაკოტეკი, ეთნოგრაფიული მუზეუმი,—სეცესიონი, ახალ მხატვრების სურათების გალერეიები. საღამოობით მსუბუქ, ცელქ ოპერეტებს ვისმენდი.

გავიდა რამდენიმე კვირა, თვალი მოვასვენე.

10-ოდე დღის შემდეგ, რიხარდ ვაგნერის „ნიბელუნგენ რინგს“ შეასრულებდნენ ადგილობრივ სამეფო თეატრში, მეც სიხარულისაგან გული მითრთოდა.

ამ ხანებში სამეფო ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი. მთელი დღე შინ არ ვიყავ საღამოს დაქანცული ვბრუნდებოდი ჩემს ოთახში.

ერთხელ ჩვეულებრივზე გვიან დავბრუნდი, შესვლისას დერეფანში ბნელოდა.

სახლის მეორე სართულზე ავსულიყავ... გამახსენდა რომ ჩემი ოთახი პირველზე იყო—საჩქაროდ ჩამოვირბინე. კარებთან რაღაც შავი სილუეტი იდგა ხმის აუღებლად,—შევკრთი.

— ვინა ხართ? უცნობმა მხრებზე წამოსხმულ შალიდან რაღაც დაკეცილი ქაღალდი—გამოიღო და გამომიწოდა და კიბისაკენ გაემართა.

გაზეთის დამტარებელი ყოფილა—გავიფიქრე და ოთახში შეველ—შეზლონზე წამოვწექი და საღამოს გაზეთს დაუწყე თვალიერება.

პირველ გვერდზე მსხვილ ასოებით ეწერა: „ქალაქის კომენდატი წინადადებას აძლევს №-ში მცხოვრებ რუსებს და ფრანგებს—24 საათის განმავლობაში—სათანადო მთავრობას გამოეცხადონ. თანაც სალეგიტიმაციო ქაღალდებიც წამოიძღვანონ“. გაზეთი განზე გადავდევი, ოთახში ელექტრონი ჩავაქრე.

ვოცნებობდი, ვფიქრობდი როგორ მომეხმარა ის 5-ოდე თვე, რომელიც იმ ქალაქში უნდა გამეტარებინა—ვანაწილებდი დროს. განზრახული მქონდა ერთი წამიც არ დამეკარგა. გადავწყვიტე ჟურნალ-გაზეთების კითხვაც კი შემეწყვიტა, მართლაც მთელი კვირა გაზეთები არ წამიკითხავს.

დილის 10 საათიდან—4-ამდი ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი.

ერთ დღეს ქუჩის ყურესთან მრავალ რიცხოვანი ბრბო შეგროვილიყო—გაზეთის სადეპეშო დაფას მისჩერებოდა მეც გავერიე შიგ—ხალხში უკმაყოფილო ხმები ისმოდა—„ავსტრიის ტახტის მემკვიდრე მოკლათ“.

ამ დღიდან შეიცვალა მყუდრო, მშვიდობიან, მხიარულ ქალაქის ცხოვრება. რედაქციების წინ გამვლელ გამოვლელნი დიდხანს ჩერდებოდნენ. წითელ ხალათიანი დეპეშების დამტარებელნი არა ჩვეულებრივის სიმარდით დააქროლებდენ ქუჩებში თავიანთ წითელ ბისიკლეტებს. ყავახანებში, რესტორანებში ხმაურობა მატულობდა —გაზეთებს ქუჩაზე კითხულობენ... რასაც აქამდი იშვიათად შეამჩნევდა კაცი.

მცხოვრებთა სახეებზე სერიოზული გამომეტყველება სჭარბობდა.

მე სამკითხველოში დავდიოდი და განზრახულ სამუშაოს არ ვშორდებოდი...

საღამოს დაქანცული ვბრუნდებოდი, ადრე ვწვებოდი...

მთელი ღამე არა ჩვეულებრივი ხმაურობა მესმოდა ქუჩიდან შუაღამემდი—უსაქმო ქალების, და ქუჩის მეორე მხარეზე ბანანების გამყიდველთა ყაყანი და ნაშუაღამევს ჯარების მარში...

ძილი გამიტყდა...

ქალაქში ნორმალური ცხოვრება აღარ იყო—მოედნებზე ხალხი გამოვიდა, რედაქციების წინ აუარებელი ბრბო უცდიდა ახალ დეპეშების მიღებას—ქალაქში ზღაპრული ხმები დადიოდა. ამბობდენ: რუსებმა წყალსადენი მოსწამლესო.—სადღაც სერბიელ სტუდენტებს ცნობილი გერმანული კონსერვატიული გაზეთი დაუწვავთ ქუჩაზე. ქალაქში ჯაშუშები დადიან კათოლიკე მონაზვნების ტანისამოსშიო.

ვხედავდი დღითი-დღე მწვავდებოდა მდგომარეობა—მეც უნდა მეზრუნა წასვლაზე, მაგრამ ნაცნობები მარწმუნებდნენ და მეც მეგონა—ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის სიკვდილს კატასტროფა არ მოჰყვებოდა. მეორე მხრით ძლიერ მეზარებოდა ბიბლიოთეკაში დაწყებულ სამუშაოს თავის დანებება.

მღელვარება დღითი დღე იზრდებოდა.

სადღესასწაულოდ განათებულ ყავახანებიდან პატრიოტული ჰიმნები ისმოდა.

მალე დემონსტრაციებიც დაიწყო. მე მაინც არ ვიშლიდი ჩემსას—დილის 10 საათზე მივდიოდი სამკითხველოში ჩემი პორტფელით ხელში, ხშირად დემონსტრატიულად გზად მომავალ ბრბოს შევხვედრივარ, ამიხვევია გზა—და ჩემ საქმეზე წავსულვარ..

კვირა საღამოს ერთ ნაცნობ მხატვართან ვიყავი მიწვეული. სამუშაოს ჩვეულებრივზე ადრე დავანებე თავი.

უკვე შეღამდა, ქუჩის ნომრებს ძნელად თუ გაარჩევდა კაცი.

შვაბინგის ერთ მიყრუებულ ქუჩის მოსახვევში ვიღაც უცნობი წამომეწია.

— თქვენი პასპორტი მიჩვენეთ.

მე გამიკვირდა. გერმანიაში ყოფნის დროს არ მახსოვს რომ ვისმეს პასპორტი მოეთხოვა ჩემთვის.

— თქვენ რა გნებავთ?

— თქვენი პასპორტი მიჩვენეთ.

— თან არა მაქვს.

უცნობი ერთი ფეხის ნაბიჯზე მომიახლოვდა. შემომაჩერდა.

— თქვენ რუსი ხართ ხომ?..,

— არა.

— აბა ვინა ხართ?

— ქართველი..

— ქართველი რაღაა?

— კავკასიელი, წავილაპარაკე მე.

მან ჯიბიდან პატარა უბის წიგნი ამოიღო.

— აი ჩემი ლეგიტიმაცია, თქვენ არ გამოცხადებულხართ—ქალაქის კომენდანტის ბრძანებაზე იქ, სადაც რუსები და ფრანგები უნდა გამოცხადებულიყვნენ?

— არა.

— წამომყევით.

მივხვდი ვინც იყო.

მახლობელ საპოლიციო უბანში მოვედით.

— დაჯექით!—მითხრა მან და ერთ პატარა ნახევრად ცარიელ ოთახში დამტოვა. თვითონ მეორეში შევიდა.

მალე ტელეფონის წკრიალი მომესმა მახლობელ ოთახიდან.

ნახევარი საათი გარინდებული ვიჯექ ამ ოთახში—ჩემი თანამგზავრი ისევ შემოვიდა და წინადადება მომცა გავყოლოდი.

— ცენტრალურ პოლიციაში წინადადება მომცეს—24 საათში გერმანიის საზღვრები დამეტოვებინა.

მე განვაცხადე, რომ ასეთ მოკლე ვადის განმავლობაში ვერ წავალ—გზის ფულის უქონლობის გამო მეთქი.

— ეს ჩვენი საქმე არაა.—მიპასუხა პოლიციის კომისარმა 24 საათში უნდა გახვიდეთ გერმანიიდან.

აუჩქარებელი ნაბიჯით გამოვედი პოლიციის შენობიდან. უკვე ღამის 9 საათი იქნებოდა, გული ნაღვლით მქონდა სავსე—24 საათში, გზის ფულიც რომ მქონოდა, მაინც სჭირდა გამგზავრება. ან ფული სად ვიშოვო?.. ვის მივმართო?

უსასოო ნაღვლით აღსავსე მარტოობის გრძნობა!

ისე გავიარე რამოდენიმე ქუჩა, არც კი ვიცოდი საით მივდიოდი, ჩემდა უნებურად ერთ პარკში ამოვყავი თავი. საშემოდგომოდ ჩამოყვითლებული ხეები მგლოვიარე ქალწულებივით იდგენ მდუმარედ თავჩაქინდრული, ელექტრონის შუქი—ყვითელი ქვიშით მოფენილ გზაზე იფრქვეოდა, პარკი დაცარიელებული იყო. მივდიოდი ანგარიშის მიუცემლად.

ეს ადგილები სრულიად უცნობი იყო ჩემთვის—მხარი ხომ არ ამექცა—გამიელვა თავში.

მხოლოდ არავინ სჩანდა, რომ გზა მეკითხა.

ფეხის ხმა მესმა—ერთი ქალი და ერთი ვაჟი გამოვიდნენ მახლობელ გადასახვევთან.

მე ბოდიში მოვიხადე და გზა ვკითხე. ამისრულეს თხოვნა.

შინ რომ მოვედი, დიასახლისი აღელვებული დამხვდა. თურმე რამოდენიმე უცნობი მისულა და დიასახლისი გაულანძღავთ, შენსას „რუსი“ სცხოვრობს და რათ არ დაითხოვეო. თან

გჯომ უპასუხა: მოქალაქე მიხეილ რომანოვს არავითარი პრივილეგიები არა აქვს, შეუძლიან ბილეთი აიღოს და ისე წაბრძანდესო.

— პეტროგრადში ალექსანდრე მე-III ძეგლზე წითელი დროშა ფრიალებს. საზამთრო სასახლეზედაც წითელი დროშაა გამართული.

— როგორც ხმები დადის ყოფილი მეფე ნიკოლოზ რომანოვი ლივადიას მიდის.

ომის დეპეშები

კავკასიის ფრონტი.

ვანის რაიონში სამხრეთით ჩვენმა ჯარის ნაწილმა თურქებს ზოგი ერთი პოზიცია დააცლევინა; მტერმა პენჯევინისაკენ დაიხია დავიჭირეთ კახუნბადი ქერმაშაჰიდან 30 ვერსის იქით.

მესოპოტამია.

1 მარტის ბრძოლით თურქთა არიერგარდები დავატოვებინეთ გამაგრებული კორდები დაიხიეს იმ გამაგრებულ პოზიციებისკენ, რომლებიც ჰფარავს მუშადიეს.

დასავლეთის ფრონტი.

პარიზი. საღამოს ცნობაა, რომ ფრანგთა კავალერია შევიდა კელში. ოცი კილომეტრით გავიწიეთ გამუსაკენ. უაზის და მუასონის შუა დავიპყარით მთელი პირველი ხაზი გერმანელთა პოზიციისა დავიპყარით კარლე პონი, მორსენი, ნუვრონი ვენგური. ჩვენ სუასონის ჩრდილოეთით გავმაგრდით და კრუი დავიჭირეთ რეიმსის რაიონში მოვიგერიეთ იერიშები. შამპანში მასიეთან არტილერიის ბრძოლაა მაასის მარცხენა ნაპირზე. ნაპირს მტერმა გაცხარებული დაუშინა. მაასის მარჯვენა ნაპირზე შევაჩერეთ მტერი.

ლონდონი. მტრის მფრინავები თავსდაესხნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ საგრაფოებს, დაუშინეს ყუმბარები ვენტს. თავდასხმა გაგრძელდება.

საფრანგეთის სამინისტრო.

პარიზი, 5 მარტი. პუანკარემ დეშანელს წინადადება მისცა ახალი სამინისტრო შეადგინეო, დეშანელმა უარი სთქვა, მე პალატის პრეზიდენტობას თავს ვერ დავანებებო. პუანკარემ რიბოს მიმართა, რომელიც პარლამენტის ზოგიერთ წევრს მოელაპარაკება და ისე მისცემს საბოლოო პასუხს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

შვეიცარიის ახალი მობილიზაცია.

ბერლინიდან პარიზს ატყობინებენ: შვეიცარიის მთავრობამ მესამე და მეექვსე კორპუსების მობილიზაცია მოახდინა, ასე რომ ეხლა შვეიცარიაში მთელი ჯარის $^4/_5$ მობილიზაციაა განხორციელებული. მთავრობა მობილიზაციას გაზაფხულის მოახლოვებით ხსნის, როდესაც მოსალოდნელია დასავლეთის ასპარეზით დიდი ამბები. საპოზიციო ბრძოლა აქ სამანევრო ოპერაციებით შეიცვლება და ადვილად შესაძლებელია შვეიცარიის ნეიტრალიტეტს საფრთხე მოელოდეს.

ირლანდიის საკითხი.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ირლანდიის საკითხი კვლავ ხალხის დიდს ყურადღებას იქცევს. ამბობენ რომ ახალი პროექტი შეადგინესო. შეიძლება განსაკუთრებული კომისია აირჩიონ, რომელშიაც შევლენ ლოიდ-ჯორჯი, ასკვიტი, ბალფური და როზბერი, ე. ი. ეხლანდელი და ყოფილი პრემიერ მინისტრები. კომისია შეიმუშავებს ირლანდიის კონსტიტუციის პროექტს და წარადგენს პარლამენტში.

ინგლისელების არტილერიის სროლა სომას რაიონში

პარიზიდან იტყობინებიან, რომ მდ. სომაზე ინგლისელების არტილერია ისეთ საშინელ სროლას აწარმოებს, რომ მისი ხმა პარიზის სანახებში ისმის და ღამით კი თვით პარიზის ცენტრში.

გრაფ ცეპელინის გარდაცვალება.

როგორც ვიცით ცეპელინების გამომგონი გრაფი ცეპელინი ამ დღეებში გარდაიცვალა. კაიზერს და მის მოკავშირე ყველა ხელმწიფეს, ავსტრიის იმპერატორ კარლოს, ბულგარეთის მეფეს ფერდინანდს, კანცლერს, რეიხსტაგის და ლანდტაგის თავმჯდომარეთ ტელეგრაფით სამძიმარი გამოუცხადებიათ განსვენებულის ოჯახობისათვის. დასაფლავებას დიდი ზეიმით გამართვენ. ფიქრობენ რომ დაკრძალვას დაესწრებიან კაიზერი, ჰინდენბურგი, კანცლერი და მოკავშირე ჯარების დელეგატები.

ჰოლანდიის ნავთსადგურების საკითხი.

კოპენჰაგენიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: გაზ. „მაასბოდე“-ს ცნობით ჰოლანდიაში მოსულა ინგლისის შეიარაღებული გემი „პრინცესა მელიტა“, მაგრამ ჰოლანდიის მთავრობას იგი ზღვაში გაუჩერებია და ნავთსადგურში არ შეუშვია. გემს დარაჯობს სამხედრო გემი. ხმებია, რომ ჰოლანდია არ შესცვლის წინანდელ პოზიციას ამ საკითხში და კვლავ არ შეუშვებს შეიარაღებულ გემებს თავის ნავთსადგურებში.

დარდანელის ოპერაცია.

გამომძიებელ კომისიის მოხსენებაზე, „ტაიმს“-ი სწერს: მოხსენება აშკარად გვიმტკიცებს, რა ცუდად ხელმძღვანელობდნენ ომს პირველ ოვა თვის განმავლობაში. ჩვენის აზრით მოხსენება განამტკიცებს ხალხის ნდობას ეხლანდელ მართველობისადმი და გაამართლებს ხალხის თვალში იმ ცვლილებებს, რომელიც მთავრობის შორის მოხდა, იგი გაგვაფრთხილებს, რათა წინანდელი არ გავიმეოროთ და წინანდელი ხალხი არ წამოვაყენოთ სათავეში.

წინადადება მიუციათ, თუ ამაღამ სახლში შემოუშვი ჩვენ გესტუმრებით და აგაოხრებთო.

შევედი ჩემს ოთახში, ქუდი და ჯოხი კუთხეში მივაგდე—რამოდენიმე წამის განმავლობაში გულშემოყრილი დავდიოდი ერთი კუთხიდან მეორეში. ვფიქრობდი... ვღელავდი. ვხედავდი, ხიფათი ახლოვდებოდა, მსჯელობა და ფიქრი ამგვარ შემთხვევებში ხომ უნაყოფოა, საათს დავხედე—უკვე ღამის 10 საათი იყო. უმიზნოდ გამოველ ოთახიდან. ქუჩაზე ჩვეულებრივი ჟრიამული აღარ ისმოდა. მახლობელი ბანანების მაღაზიები დაეკეტათ. გავყევი ქუჩას. გადასახვევთან ყავახანის კარებთან ორი კაცი იდგა და ხმა დაბლა ჩურჩულებდნენ რაღაცას. ცალი თვალით შევიხედე შიგ, ზალა დაცარიელებულ იყო —სკამები სუფრებზე შეეწყოთ ორკესტრის განყოფილებაში გაშლილი მოგროვებული ნოტები. ეწყო—მივდიოდი უმიზნოდ—ირგვლივ მყუდროება იყო. შორიდან დაგვიანებული ეტლის რახრახი მოისმოდა ან კიდევ ავტორს ზმუილი—და აქამდის მხიარული მოძრავი ქალაქი უდაბნოსებურ მდუმარებას მოეცვა. მახლობელ მოედანზე გავედი მეგონა იქ მაინც მოვძებნიდი №-ის სადგურისაკენ მიმავალ ტრამს... მინდოდა მეკითხა მაინც, როდის გადიოდა მატარებელი ლინდაუში 1) ამასობაში მახლობელ პარკიდან სიმღერა მომესმა: შავჩერდი. ეს მანიფესტანტები იყვნენ—„Fest steht, und treu die Wacht am Rhein“—გრგვინავდა ათას თავიანი ბრბო. მანიფესტანტები მოახლოვდნენ შევყოყმანდი, გადავკვრა მოედანი და ჩემ გზას გაუდგე? თუ მეც თან გავყვე?—პირველი უხერხულად, მომეჩვენა, მითუმეტეს სულ რამოდენიმე ნაბიჯი მიკლდა სიმღერით მიმავალ ბრბომდის. მერე კიდევ შესაძლებელია ჩემის გზის ახვევით დემონსტრანტებს ეჭვი აეღოთ—და რაიმე უსიამოვნება მოეყენებიათ. ამასობაში პროცესია ახლოვდებოდა. მოედანი გაიჭედა მახლობელ ქუჩიდან მომდინარე ხალხით.

მეტი გზა არსად იყო. მეც გავერიე ბრბოში—ერთ წამს ჩიჩქოლი და სიმღერა შესწყდა.—შემდეგ წინ მიმავალთ ხელმეორეთ დაიწყეს—ისევ ის ჰიმნი რომელსაც სულ რამოდენიმე წამის წინად მღეროდნენ.

და დაიძრა ხალხის ტალღა, მეც უნებლიეთ თან გამიყოლია. ასეთ სიმღერით, მიდიოდნენ თითქმის მთელი საათი.

მე ვხედავდი რომ აქიდან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. რამოდენჯერმე ვეცადე ნაპირზე გავსულიყავ მაგრამ ჩემი ცდა ამაოდ დარჩა—ერთ წამს ატყდა დაუსრულებელი „ჰოხ, ჰოხ...“

ქალები ხელთათმანებსა და ცხვირსახოცებს აფრიალებდნენ ჰაერში, მამაკაცები ქუდებს იხდიდნენ—ავტომობილებითა და ეტლებით მომავალნი ფეხზე დგებოდნენ და სხვებთან ერთად ღრიალებდნენ „ჰოხ, ჰოხ...“ მეც იძულებული გავხდი ქუდი მომეხადა—რომ არავის შევემჩნიე. ერთბაშად ვერ მივხვდი რად შესწყვიტეს სიმღერა ან რათ ასტეხეს ჰოხ, ჰოხ.“ ხალხი დრტვინავდა. ბორგავდა. ქუჩის ნაპირზე გაბმულ მავთულის ხლართზე ცალი ფეხი შევსდგი—და ავიხედე: მიდამო მეცნაურა.

ბავარიის მეფის საზაფხულო დარბაზის წინ მოვსულვართ, გავიფიქრე.

(შემდეგი იქნება)

გ. ა.

სევდის რკალებში *)

ნაღვლიანი ჭაბუკი:

1.

ბოლმა მტანჯავს, სულს მიშფოთებს, მაკანკალებს;
სული ჩემი შეუბოჭავს სევდის რკალებს.

მოსვენება ვეღარ ვპოვე აქ, ამ მხარეს,
ადამის ძეთ მე დამგესლეს, არ მახარეს.

მისთვის ვილტვი, ყვავილეთში მიმეჩქარის,
ჩემი შვება იქა ჰყვავის, იქა არის.

მხოლოდ ყვავილთ შეუძლიათ ჩემი შველა,
თორემ ისე ცრემლთა დენამ ვერ მიშველა.

2.

ძლივს ვეღირსე ყვავილეთში მოსვლას დღესა,
მსურს რომ აქა დავაყუჩო სულის კვნესა.

ჩემო ვარდო, სიტურფეო, ამბორს გიყოფ...
იმედია შენსა ლხენას მეც გამიყოფ!

რა ტურფა ხარ, სურნელოვან, მიმზიდველი!—
დღეს მე ისევ განახლებას შენგან ველი!..

ეს რას ვხედავ?!—შენცა გჩაგრავს მაინც ნარი
და ცრემლი მზდის შეუშრობი, უჩინარი?!.

3.

ეჰ... რაღა ვსთქვა! რა მეგონა და რა ვნახე!—
ზოგჯერ კიდეც ტანჯვას ჰფარავს თურმე სახე!

ეხლა მივხვდი მე ამ ქვეყნის ამოცანას.
რომ საწუთრო ყველას ასობს გულზე დანას!

ოხ!.. რკალებში დავიქანცე, მოვიღალე...
სულს სწყურიან მათ დამსხვრევა ჩქარა, მალე!

...და აღსრულდა... ჰა, მიმაფრენს ჩემი ჰუნე,
უგზო-უკვლოდ, გიჟურ ლტოლვით მოგუგუნე!..

იპო ჯინორიძე.

მექსიკაში.

პარიზიდან „რუსკოე სლოვო“-ს ატყობინებენ: ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობებით მდგომარეობა მექსიკაში თან და თან მწვავდება და საშიშ ხასიათს ღებულობს. შეერთებულ შტატებიდან გადახვეწილ გერმანელებმა მექსიკაში მოიყარეს თავი. გერმანელებმა გამართეს უმავთულო ტელეგრაფის დიდი სადგური და დეპეშებს პირდაპირ გზავნიან და ღებულობენ გერმანიიდან, ასე რომ შეერთებული შტატები ვერავითარ ცენზურას ვერ უწევენ. მტკიცდება ხმა აგრეთვე, რომ გერმანელებმა მოაწყეს წყალქვეშ ნავების ბაზა მექსიკაში. წყალქვეშა ნავებს დავალებული აქვთ განსაკუთრებით ის გემები ჩასძირონ, რომელთაც შეერთებულ შტატებიდან ინგლისში ნავთი მიაქვთ.

პატარა ფელეტონი

წერილი პროვინციიდან

ძვირფასო მეგობარო! ვიცი, რომ შენც სიხარულით ცას დაეწეოდი, როცა ჩვენი მთავრობის სიკვდილის ამბავს გაიგებდი!

ახლა რომ იცოდე, რა ჟივილ-ხივილია მთელ ჩვენ ქალაქში! ყველა ერთმანეთს ულოცავს, ყველა ერთმანეთს ეხვევა სიხარულით! რა სწორეა ხათქვამი, რომ ადამიანის ავ-კარგიანობა მის დამარხვაზე გამოჩნდება ხოლმეო. ერთი რა არი, ერთი არავინ წარმოდგა მის ქელეხზე და ცხონება არ შეუთვალა განსვენებულს! ერთმა არ მოიხსენია კეთილი სიტყვით! ყველა წყევლა-კრულვას უთვლის და ჰქოლავს მას! სეირი ის არის, რომ თავისიახებიც გადაუდგნენ ცხედარს და ბანს აძლევენ ხალხს!

ზოგს კი ჯერაც არა სჯერა მისი სიკვდილი და ასე ჰგონია საღათას ძილით სძინავსო „გვცდის, გვცდის, გენაცვალეთ, მახეს გვიგებს“—გაიძახიან მხდალები და თან შიშით აქეთ-იქით იხედებიან... აი, დიდი ხნის მონობის ნაყოფი!

გაგიხარიან, არც მის დამქაშებს და მოურავ-მინისტრებს დააყარეს კეთილი დღე: ნაგავივით მოუსვეს ცოცხი და ფურგონებით გაზიდეს ციხეებში! ამბობენ—მათი ოხვრა-კვნესა ზეცას ესმისო... ჩვენი ხალხი ოხუნჯობს: შტიურმერ-პროტოპოპოვი რომ ერთმანეთს საკანში შეხვდნენ, უკანასკნელმა სილა სტკიცა პირველს და უთხრა: „ეს ხო სუ შენგან მომივიდა, შენ შემაცდინეო“... ზოგმა მათგანმა თავი მოიკატუნა და ერთგულება გამოუცხადა ხალხს... ჩვენი ხალხიც, ხომ იცი რა კეთილია, შეუნდო მათ ცოდვები, რეჟულამდის აღარ ჩაჰყვა და აპატია...

მომწონს ეს დიდსულოვნობა, მაგრამ მეშინიან, რომ ბოლოს არ ინანოს და თითზე არ იკბინოს.. მეშინიან, რომ ჩვენც ფრანგების დღე არ დაგვადგეს.,. ფრანგიანთ თავ-გადასავალმა ბევრი სხვა რამეც უნდა გვასწავლოს, უნდა ვეცადოთ, რომ მათი შეცდომები არ გავიმეოროთ... ვერიდოთ, რომ ბატონის მემკვიდრე—სუფთა, ნაზი, ლამაზი ასული **ქალბატონი თავისუფლება** ქუჩურ დიაცად და არ ვაქციოთ... მის მზითვის გაყოფაში დანტონისტ-იაკობინელებივით ერთმანეთი არ დავჭამოთ და მტერი არ გავახაროთ (თურმე ამის იმედი ძალიანა აქვთ დამწყვდეულ მტრებს). ვერიდოთ შინაურ ნაპოლეონებსაც, თვალყური ვადევნოთ ერთმანეთის ნაბიჯს და მისწრაფებას... მეტადრე ბატონის ნათესავებს... რაც გინდა მითხარ, მაგრამ ძაან მეშინიან მათი... არ მჯერა მათი ფიცი და ერთგულება... მე მირჩევნიან პირადი მტერი—ლომი, მგელი, ვიდრე ქვემძრომი გველი... სიფრთხილე, ყურადღება, ტაქტი, ერთობა—აი რა გვმართებს ეხლა... ჯერ კიდევ ბეწვის ხიდზე გავდივართ... ერთი ფეხის აცდენა და უფსკრულში გადავყირავდებით...

სინამ მშვიდობით, ჩემო მეგობარო... ისე აღფრთოვანებული ვარ სიხარულით, რომ გულმოდგინე წერილის თავიც არა მაქვს.. დაწვრილებით შემდეგ.

ნ. აზიანი

ახალი ამბავი

◆ **აღმასრულებელი კომიტეტი ტფილისში.** მუშათა დეპუტატების საბჭომ ახალ მთავრობის აღმასრულებელ კომიტეტში შემდეგი პირნი აირჩია: ნოე ჟორდანია, ხანოიანცი, მაისურაძე, ჩერნიშევი, ევსეევი, ერზინკიანცი და ალ. ლომთათიძე. ქალაქის საბჭომ ამ კომიტეტში შემდეგი ხმოსნები აირჩია: ა. ხატისოვი, დამალიან არუთინიანი, მ. ბერბერიანი, ი. დოლუხანოვი, ერზნკიანცი (ამან უარი განაცხადა, რადგანაც უკვევ არჩეულია მუშებისაგან), ი. დოლუხანოვი, ვესელოვზოვი, ს. არუთინოვი, შ. ალექსი-მესხიშვილი, ა. ბაზოვი და ა. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. მათ კანდიდატებად აირჩია: სევეჩნიკოვი. ექიმი ვ. მუსხელიშვილი, დ. შავერდოვი, პ. ა. გოთუა და გალუსტიანი.

კომიტეტის პირველი კრება გაიმართა 6 მარტს ღამით. გადაწყდა კომიტეტში მოწვეულ იქმნენ პარტიათა და კლასთა წარმომადგენელნიც სრულის ხმით. მაჰმადიანთაგან მოწვეულ იქნება 4 კაცი, ებრაელთაგან—1, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისაგან—2, ნაფიც ვექილთა საბჭოსაგან—1, ვაჭრებისაგან—1, სოციალ-დემოკრატთაგან—3, დაშნაკცაკანებისაგან—2, სოციალისტ-ფედერალისტთაგან—2, ჰინჩაკისტებისაგან—1, კადეტებიდან—1 და სხვა. კომიტეტის მეორე კრება 7 მარტს შუადღისას გაიმართა. კრებები პრესის წარმომადგენელთა დაუსწრებლად იმართება.

◆ **ტფილისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის** მთავარი გამგეობა ამით აუწყებს ტფილისის ყველა ტიპის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლებს, რომ პარასკევს, 1„ მარტს, საღამოს 7 საათზე პირველ სავაჟო კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია მასწავლებელთა საზოგადო კრება. განსახილველი საგანი: ქ. ტფილისში მასწავლებელთა კავშირის განყოფილების დაარსება და სხვა და სხვა საკითხი მიმდინარე მომენტის შესახებ.

◆ **მასწავლებელნი და დღევანდელი მომენტი.** შაბათს, 11 მარტს, საღამოს 7 საათზე, რეალურ სასწავლებლების მასწავლებელთა საერთო კრება გაიმართება დღევანდელ მომენტის შესახებ მოსალაპარაკებლად. კრება იმართება სახალხო მასწავლებელთა კავშირისა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა გამავრცელებლის და სკოლის გარეშე განათლების გამავრც. საზოგადოებათა თაოსნობით.

◆ **წესიერება ტფილისში** საუცხოვოა. გუშინ პოლიციელებს მკლავებზე ახალი ნიშანი გაუკეთეს ზედ წარწერით: „ახალი საქალაქო პოლიცია“. სულ მოკლე ხანში პოლიციის სრული რეორგანიზაცია მოხდება და დაწესდება სახალხო მილიცია.

◆ **უმაღლესი მთავარ-სარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.** გუშინ დილით ტფილისიდან რუსეთს გაემგზავრა.

◆ **პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება.** 6 მარტს მეტეხის ციხიდან და საგუბერნიო საპყრობილიდან გაანთავისუფლეს ყველა პოლიტიკური პატიმარი.

◆ **კავკასიის მართვა-გამგებლობის წესი**, რომელიც უკვე შეუმუშავესია ახალ მთავრობას, ამ დღეებში გამოქვეყნდება.

◆ **ჟანდარმთა სამართველოს უფროსის შეპყრობა.** 6 მარტს მუშათა დეპუტატების საბჭოს განკარგულებით გასჩხრიკეს ტფ. ჟანდარმთა სამართველოს უფროსი პასტრიულინი და შემდეგ დააპატიმრეს. მათთან ერთად დააპატიმრეს 15 ჯაშუში, რომელნიც ხსენებულ სამართველოში მსახურებდნენ. დაპატიმრებულნი მეტეხის ციხეში გაგზავნეს. როგორც დანამდვილებით ამბობენ, დაპატიმრებულებმა წინა დღითვე მოასწრეს ბევრის დოკუმენტის დაწვა.

◆ **ნაფიც ვექილთა საბჭოს კრება** 6 მარტს გაიმართა. კრებამ მისალოცი დეპეშები გაუგზავნა ახალ მთავრობას და შემდეგ იმსჯელა დღევანდელ მომენტის შესახებ. კრებამ შ. ალექსი-მესხიშვილის წინადადებით დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა, რათა სასჯელისაგან გაანთავისუფლონ სამხედრო სასამართლოს მიერ დასჯილი აჭარელნი. შესაფერის მოხსენება შემუშავება მიენდო აჭარელთა საქმის დამცველებს: შ. ალექსი-მესხიშვილს, ი. ა. ბარათაშვილს, პ. დ. გედევანიშვილს, ივ. კაჩუხოვს და ა. ტატიშვილს.

◆ **ოფიცერთა კრება.** დღეს, 8 მარტს ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია ოფიცერთა დელეგატების კრება: კრებამ უნდა განიხილოს რა გზით და რა საშუალებით დაეხმარონ და მხარი დაუჭირონ ახალ მთავრობას.

◆ **ბ-ნმა გრიგოლ ჩარკვიანმა** ჩვენს რედაქციას გადმოსცა 10 მანეთი გაზეთის სასარგებლოდ დღევანდელ მომენტით გამოწვეულ მოულოდნელ ხარჯების დასაფარად.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ ჩვენ გაზეთის სამგლოვიარო განცხადებაში შემდეგი შეცდომა იყო შეპარული, დაბეჭდილია: გარდაიცვალა **ვლადიმერ** კორინთელი უნდა იყოს: გარდაიცვალა **პლატონ** კორინთელი.

სოფლად და ქალაქად

თელავი

◆ პურის კრიზისი თან და თან ძრიელ საგრძნობელი ხდება, თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას არც ერთი ტომარა ფქვილი არ მოეპოვება. მართალია კავშირის დაარსებიდან სასურსათო საქმე იქ გადავიდა და კავშირმა უნდა შეიძინოს ყველა ამხანაგობისათვის, მაგრამ ამხანაგობებსაც შეუძლიათ თავისთვის ფქვილის გამოწერა, რადგანაც მოთხოვნილება დიდია და თელავი პირდაპირ პურის სიმშილს განიცდის, ამისთვის ამ ამხ-ბის გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნმა გ. ბურჭულაძემ ტფილისში ყოფნის დროს გუბერნატორი ინახულა და ყველაფერი დაწვრილებით მოუხსენებინა, მაგრამ გუბერნატორს ეთქვა—ფქვილს როცა მოვა კავშირს გადავცემთ და ის კიდევ თქვენ გაგინაწილებთო. ეს ერთი ხანია კავშირი ცდილობს ფქვილის მოტანას, მაგრამ ვერას გამხდარა ისეთი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობება წინ.

რადგანაც შარშან ამხანაგობის 29 ვაგონ ფქვილის რეკვიზიცია მოახდინეს, ეხლა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა შუამდგომლობს ამ 29 ვაგონის ფქვილის ან ხორბლის ყუბანის კავშირიდან გამოგზავნის შესახებ. ამის შესახებ თელ. მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლმა თავ. მ. ზ. ჭავჭავაძემაც დეპეშით მიჰმართა მიწათმოქმედების სამ. რწმუნებულ ბ. დანილოვსკის და ტფ. გუბერნიის მარშალს რათა ამ ფქვილის მოშველებით იხსნან კახეთი სიმშილისაგან.

◆ ღვინის ფასმა ძრიელ აიწია ამ ერთი თვის წინედ საპალნე 3000—350 მან. ზანტად იყიდებოდა, ეხლა-კი 500—600 მან. და მეტს აძლევენ და შოვნა არ არის.

◆ ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილებამ მიჰმართა კახეთის სოფლებში არსებულ წვრილ კრედიტის ამხანაგობების გამგეობებს 1916 წლის მოგებიდან დახმარება აღმოუჩინონ განყოფილებას ფულის შეწირვით.

◆ ქალაქში კვლავ პურის კრიზისია, აცხობენ მარტო ფურნეში და დიდძალი ხალხი უცდის ხოლმე ისე რომ გამოცხობას არც კი უცდიან და ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ.

◆ ქალაქის მოურავის თანაშემწე თავ. ლ. ვახვახიშვილი თელავს წავიდა სასურსათო საქმეზე.

ქუთაისი.

◆ წვრილი კრედიტის ამხანაგობის საზოგადო კრებამ 50 მან. შესწირა. საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილებას.

◆ შაბათს, 4 მარტს დილის 10 საათიდან მოახდინა მშვიდობიანი მანიფესტაცია მოსწავლე ახალგაზრდობამ. წარმოთქმული იყო სიტყვები შავი ქვის მრეწველთა საბჭოს წინაშე, მეგობარის და სამშობლოს რედაქციებთან და გუბერნატორის სახლთან.

დ. ხონი.

◆ კვირას 26 თებერვალს ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიის დარბაზში—მარიამის ქალთა სასწავლებლის მოსწავლეებმა გამართეს საღამო. საღამო უშინაარსო და უფერული გამოდგა. საღამოს ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო.

◆ ადგილობრივ კლუბში გამართულ საღამოზე გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ ხალხი ბლომად დაესწრო. შემოსავალიც კარგი იყო.

◆ ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობა, რომელიც შაქარს ანაწილებდა ხალხზე—სულზე 2 გირვანქას თვეში. 11 მარტამდე აღარ გაანაწილებს შაქარს. რადგან შაქრის მეორე ნაწილს გადასინჯვ-გადაწონა სჭირდება.

კოოპერატიული მოძრაობა

კვირას, 26 თებერვალს შესდგა ჩოხატაურის რაიონის მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება, რომელსაც 40-დე კოოპერატივის რწმუნებული დაესწრო. მათი შეკრება გამოიწვია ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ინსტრუქტორის ბ. ურატაძის ჩამოსვლამ. კრება გაიხსნა შუადღის პირველ საათზე. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ. ურატაძე, ხოლო მდივნად მღ. ა. რამიშვილი. პირველ ყოვლისა ურატაძემ მოახსენა კრებას თუ რა პირობები იმყოფება ამ ჟამად სურსათ-სანოვაგის შოვნა და აუცილებელ საჭიროებად აღიარა გამანაწილებელი „პუნქტის“ დაარსება, რომელსაც პირდაპირ კავშირი ექნება ამიერ-კავკ. კოოპ. კავშირთან და იქიდან მიიღებს საქონელს მის რაიონში არსებულ კოოპერატივების გასანაწილებლად. ამას ისიც დაუმატა, რომ აქ არავითარი „შენ-ჩემობა“ არ უნდა არსებობდეს და საქონელი სამართლიანად და სრულიად მიუდგომლად უნდა განაწილდეს კოოპერატივთა შორისო. კრებამ მოიწონა ეს აზრი და დადგენილ იქნა: გაიხსნას გამანაწილებელი „პუნქტი“ იქ, სადაც ამას მოითხოვს კოოპერატივებთა ინტერესებით. ცოტა კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ ჩოხატაურის რაიონში რამდენი ასეთნაირი „პუნქტი“ დაარსებულიყო. ხმის უმეტესობით გადსწყდა დაარსდეს „პუნქტები“ ორ ადგილას: სად. საჯევახოში და დ. ჩოხატაურში. პირველში შევლენ შემ-

---

1) შვეიცარიისა და გერმანიის მოსაზღვრე პუნქტია.

*) ნ. ბარათაშვილის საღამოზე, 26 თებერვალს, საიმპერატორო სამუსიკო სკოლის დარბაზში წაკითხული.

დეგი კოოპერატივები: 1) საჯევახოსი, 2) ტოლების, 3) ჭაპანასი, 4) ქვაყუდესი, 5) ზემოხეთის, 6) ნანეიშვილისეულის და 7) ბურნათის. ხოლო დანარჩენი კოოპერატივები, რომელთა რიცხვი 30-დე ადის, შევლენ ჩოხატურის გამანაწილებელ „პუნქტები". ჩოხატაურის პუნქტისათვის აქვე აირჩიეს გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრნი. გამგეობაში არჩეულ იქმნენ: ა. კეკელიძე, ა. ბერძენიშვილი და ს. ცინცაძე. მათ კანდიდატებათ: რ. რამიშვილი და ლ. უნგიაძე. სარევიზიო კომისიაში: ს. რამიშვილი, ს. წეროძე და ი. შარაშიძე.

არჩევნების შემდეგ ბ. ურატაძემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ, თუ როგორ უნდა იყოს კოოპერატივები დაყენებული საქმეები და საჭირო წიგნების წარმოების წესი.

ამხაითელი.

—

ს. ვანათი. 26 თებერვალს მოხდა ვანათის მომხმარებელ საზოგადოების „მეგობარი"-ს დამფუძნებელი კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მასწ. ბ. მაჭარაშვილი, მდივნად მღ. დიმიტრი კოკოლი. კრების წინ თავმჯდომარემ მოკლედ გააცნო დამსწრე საზოგადოებას კოოპერატივის მნიშვნელობა და მისი სარგებლობა. კრების საგანი იყო შემდეგი საკითხის გარჩევა:

1, როგორ იყიდებოდეს საქონელი (ნისიათ თუ ნაღდზე), 2, რა პირობებში ყიდულობდეს საქონელს არა წევრი, 3) რამდენი პაის ყიდვის ნება ქონდეს თვითეულს, 4, პაი ერთბაშად იყვეს შეტანილი, თუ ნაწილ-ნაწილად, 5) როგორ უნდა განაწილდეს მოგება, 6, წევრს, რომელიც კოოპერატივიდან გამოდის, რა ვადაზე დაუბრუნდეს ფული.

ცოტა მსჯელობის შემდეგ კრებამ დაადგინა:

1, ვაჭრობა სწარმოებდეს ნაღდზე, 2) საქონელი იყიდებოდეს ყველაზე, წევრზე, თუ არა წევრზე, ერთნაირ ფასებში, 3, თვითეულს მიცეს ათი პაის ყიდვის ნება. 4) პაი ერთბაშად იყვეს შეტანილი, 5, მოგება უნდა განაწილდეს პაის მიხედვით (თუმცა უსამართლობაა), 6, წევრს, რომელიც კოოპერატივიდან გამოდის, თავისი კუთვნილი ფული მიეცეს სამი თვის განმავლობაში წლიური ანგარიშების დამტკიცების შემდეგ.

შემდეგ ამისა მოხდა არჩევნები. გამგეობაში აირჩიეს:

მასწ. ბ. მაჭარაშვილი, მასწ. ვასო ზანიკაშვილი, ბ, თომა ჩოჩიშვილი, კანდიდატებათ: ნიკოლოზ ჩოჩიშვილი, ნეოფიტე აკურაძე, ეფრემ ხეთაგური. სარევიზიო კომისიაში: ზურაბ მულდარაშვილი, სიმონ ზაძროაშვილი, იოსებ პაპუშვილი, იმათ კანდიდატებათ: ალექსი ჩოჩიშვილი, ნიკო ალბორიშვილი, დავით კობალაძე.

ძალიან სასიამოვნოა, ხალხი აღტაცებით შეხვდა ამისთანა სასარგებლო საქმეს. იმ დღესვე ას თუმნამდის შემოვიდა, ხოლო მეორე დღეს წევრთა რიცხვი ორასამდის ავიდა. ვისაც აქვს ფული სიხარულით მოაქვს, ხელმოკლე ხალხი კი სესხულობს, რომ კოოპერაციის გარედ არ დარჩეს.

დამსწრე.

—

ხონის წვრილი კრედიტის საზოგადოების წლიური კრება

კვირას 1917 წელს 19 თებერვალს ადგილობრივ ელექტრო - თეატრის დარბაზში მოხდა ჩვეულებრივი წლიური კრება ხონის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა.

კრებას ხალხი ბლომად დაესწრო. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ-ნი ემელიანე ივ. ცაგარეიშვილი. სანამ დღიურ საკითხების განხილვას შეუდგებოდნენ დამსწრე საზოგადოებამ ბ-ნ ემელიანე ივ. ცაგარეიშვილის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა ეხლანდელ გარდაცვლილ—ხონის საზოგადოებაში კარგად ცნობილ პედაგოგს ალ. ბ. ჭიჭინაძის ხსოვნას.

შემდეგ შეუდგნენ დღიურ საკითხის განხილვა-გარჩევას.

პირველად მოხსენება წაიკითხა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გასულ 1916 წლის მოქმედების და მდგომიარე 1917 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ვლადიმერ ბ. ბახტაძემ.

მომხსენებელმა ბ-ნმა ვლ. ბ. ბახტაძემ ნათლად გააცნო საზოგადოებას გასული წლის შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოების გამგეობის და საბჭოს ანგარიში. როგორც მოხსენებიდან სჩანს 1) საბჭოს მიუღია მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში „44" წევრი 6,700 მანეთის ნდობით, 2) მოემატა ნდობა „56" წევრს= 3,235 მანეთისა.

3) 1917 წლის 1 იანვრისთვის ამხანაგობაში ირიცხება სულ—330 წევრი, რომელთა ნდობა შეადგენს 55,095 მანეთს.

4) მათი საწევრო ფული არის კარში სულ 11,883 მან. 21 კაპ.

გარდა ამასა გამგეობას უწარმოებია საშუამავლო ოპერაციები, რომელსაც ეკუთვნის მაგალითად: შაქარი, პურის ფქვილი, აბრეშუმის თესლი შაბიამანი, გოგირდი და სხვა, რომელიც გასულ 1916 წელს მოუტანია ამხანაგიბას და აწვდიდა თავის წევრთ ხელმისაწდომ ფასებში. ამ საქონლით კი როგორც მოხსენებიდან სჩანს სარგებლობდა უმთავრესად საზოგადოების წვრილი გლეხკაცობა.

ამხანაგობის 1916 წლის შემოსავალ-გასავალი ასეთი იყო:

შემოსავალი: 1) შაბიამანიდან და გოგირდიდან მოგება2,437 მან., 2) გასესხებულ ფულიდან შემოსული სარგებელი 5,001 მან, 16 კაპ., 3) აბრეშუმის თესლიდან შემოსული სარგებელი 66 მან. 78 კაპ., 4) ფხვნილი შაქარიდან შემოსული სარგებელი 26 მან. 15 კაპ., 5) პურის ფქვილიდან შემოსული სარგებელი 506 მან. 52 კაპ,, 6) ბანკებში მიბარებული ფულის სარგებელი 684 მან. 91 კაპ., 7) ვექსილების (თამასუქები) და წიგნების ფასები 94 მან. 73 კაპ. სულ 7,817 მან. 25 კაპ.

გასავალი: 1) გამგეობის ჯამაგირი 750 მან., 2) რჩევის გასამჯელო 115 მან., 2)მოსამსახურის 150 მან , 4) სახლის ქირა 120 მან., 5) მობარებული ფულის სარგებელი 3,234 მ. 70 კაპ., 6) სხვა და სხვა ხარჯები 563 მ. 54 კ. სულ 4,933 მან. 24 კაპ. ე. ი. 1916 წელს ამხანაგობას 1916 წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონებია—7,817 მან. 95 კ., გასავალი 4.934 მ. 94 მან.

დარჩენია ამხანაგობას წმინდა მოგება 2,884 მან. 01 კაპ., გარდა ამისა ამხანაგობას მობარებული ფული ჰქონებია სხვა და სხვა პირთაგან 1) სულ 73,705 მან. 63 კ. ხოლო გასესხებული ჰქონებია ამხანაგობას 2) სულ 40,884 მან. 70 კ., 3) აქციები აქვს ამხანაგობას შეძენილი 7,735 მ. 4) ვექსილები 1917 წ. 1 იანვრისთვ. 29,832 მან. 83 კ. 5) დარჩენილი გაუყიდველი შაბიამანი 4,445 მ. 10 კ. 6) გოგირდი 591 მ. 92 კ., 7) შაქრის ბეთ 4,500 მან. სულ 47,104 მან. 85 კაპ.

ამას გარდა ქონებაში გასესხებული ფული ჰქონებიათ 80 მ., ნაღდი ფული კასაში 6,033 მ. 97 კ. ამ რიგათ 1917 წლის 1 იანვრისათვის გადმოვიდა სულ 94,103 მ. 52 კ. ამ რიგად წვრილი კრედიტის ამხანაგობას 1916 წლის განმავლობაში გადაუბრუნებია სულ 262,578 მ. 65 კ.

მდგომიარე 1917 წლისთვის ხარჯთაღრიცხვა ნავარაუდევია 2,070 მან.

მოისმინა რა საზოგადოებამ გასულ 1917 წლის ანგარიში და მდგომიარე წლის ხარჯთ აღრიცხვა ერთხმად დაამტკიცა მთელი ანგარიში და თანაც დიდი მადლობა გამოუცხადა გამგეობას მხნე და ენერგიული მუშაობისათვის.

შემდეგ კრება შეუდგა მორიგ საკითხთა განხილვა გარჩევას და ჯეროვანი თათბირის შემდეგ დაადგინა შემდეგი: ანგარიში ამხანაგობისა შედგენილი გამგეობის მიერ 1916 წლის ოპერაციებზე და წმიდა მოგება 2,884 მ. 1 კ. განაწილდეს ასე: 1) სათადარიგო თანხისათვის გადაიდვა 327 მ. 74 კ. 2) აქციების გამოსასყიდლად 219 მ. 95 კ. 3) ქუთაისის ქალთა ქართულ გიმნაზიას „სინათლეს"—50 მ. 4) ხონის მომავალ სახალხო სახლის ფონდის გასაძლიერებლად 100 მ. 5) ხონის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს 29 მ. 52 კ. 6) საშუამავლო ოპერაციებისათვის 628 მ. 20 კ 7) ამხანაგობის მომავალ შენობისათვის 206 მ. 80 კ. 8) ზოგიერთ კერძო ვალების დასაფარავად 346 მ. 80 კ. როდესაც კითხვა მივიდა საშუამავლო ოპერაციების გაფართოების შესახებ ბ-ნმა ივ. ჭავჭანიძემ მიმართა კრებას, რომ კარგი იქნება ყოველივე საქონელი, რაც, რომ ამხანაგობას აქვს საწარმოებლად და მისი უფლებაც შეძენა სავსებით გადაეცემოდეს ადგილობრივ კოოპერატივ „იმედს"-ო, მაგრამ ბ-ნ. ივ. ჭავჭანიძის წინადადება ერთხმად უარყო კრებამ და აღნიშნა, რომ არა თუ შევამოკლოთ საშუამავლო ოპერაციების წარმოება პირიქით დახმარება აღმოუჩინოთ გამგეობის წარმოება გააფართოვოსო.

დღეს ჩვენ ამ ამხანაგობამ დაგვაყენა ფეხზე და მით სული მოვითქვით და თუ არა ეს, ისედაც გაძვალტყავებულ ხალხს ცხოვრება გაგვიძვირდებოდაო და არა თუ აქაურ ამხანაგობის წარმოების შეზღუდვა გვინდა ჩვენ, პირიქით უკეთესიც იქნება მეორე, მესამეც და მეტიც გვქონდეს ასეთებიო. კრებამ ნება მისცა ამხანაგობის გამგეობას, რაც შეიძლება გააფართოოს საშუამავლო ოპერაციების წარმოება.

ნება მიეცა აგრეთვე ამხანაგობას აიღოს სესხი ა) მოშორებულ უვადო ფულს მიეცეს 3% ხოლო ვადიან კი 6%-დე ხოლო როდესაც გამგეობა გაასესხებს ნება ეძლევა აიღოს არა უმეტეს 10%. 1917 წლისთვის უფლება ეძლევა გამგეობას გაიღოს შემდეგი ხარჯები: ბ) სახლის ქირა 120 მ. იასაულის ჯამაგირი 180 მ. წიგნებისა, ბლანკების, ფოსტის განათების და სხვა 250 მ.

გამგეობის ერთს წევრს, რომელიც ანგარიშს აწარმოებს მიეცეს ჯამაგირი 600 მ. ხოლო დანარჩენ ორ წევრს, თითოს 360 მან., საბჭოს წევრთ გასამრჯელო თითეულ სხდომაზე 2 მანეთი, სრულიად დაახლოვებით 200 მანეთი. უფლება ეძლევა აგრეთვე ამხანაგების გამგეობას ისარგებლოს სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებისაგან უკვე გახსნილი კრედიტით 50.000 მან.

განიხილა რა და დაამტკიცა ყველა ზემოდ აღნიშნული ანგარიში. დაბოლოს მოხდა არჩევნები.

ასარჩევი იყო გასასვლელ გამგეობის წევრის მაიორი ნაცვლად მ. ჭელიძისა. და საბჭოს წევრებისა. საზოგადოებამ დაასახელა გამგეობის წევრად ისევ ძველი წევრი ბ-ნი მ. ჭელიძე, ხოლო მის კანდიდატად ბ-ნი ივ. ივ. ქუთათელ-ძე, საბჭოს წევრად დასახელებულ იქნა ისევ ძველი წევრი და საბჭოს თავმჯდომარე ვლ. ბ. ბახტაძე, ემელიანე ივ. ცაგარეიშვილი და ილიკო ჭავჭანიძე მხოლოდ მათ კანდიდატად იაკობ ქუთათელაძე. მაგრამ დახეთ უბედურებას აქაც „პარტიულმა" ქიშპობამ იჩინა თავი. ასარჩევ ბ-ნ მ. ჭელიძის წინააღმდეგ ასტეხეს ერთი აურ-ზაური უბადრუკ „დასელთა" მცირე ჯგუფმა—„ცნობილ" რ. წივწივაძის მეთაურობით.

რ. წივწივაძე ეხება მ. ჭელიძის მოღვაწეობას ხონის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში და უარყოფითი იხსენებს ყოველივე მის მოქმედებას, მიუხედავათ იმისა, რომ მას არავითარი საბუთი არა აქვს—შემდეგ ამისა უმარტავს კრებასა, რომ მ. ჭელიძეს უფლება არა აქვს წესდების მე § 13 მუხლის ძალით იქნეს ამ ამხანაგობის წევრათო და მოითხოვს მ. ჭელიძის კანდიდატურის მოხსნას.

მიუხედავათ რ. წივწივაძის გრძელი სიტყვებისა კრება მაინც მის წინააღმდეგ წავიდა გარდა მის ორი-სამი, „ძმა-ბიჭებისა" და მოითხოვა ერთხმად აერჩია ისევ მ. ჭელიძე.

რ. წივწივაძეს ბანი მისცა მისმა „ამხანაგმა" ილ. რუხაძემ და აღნიშნა, რომ მ. ჭელიძეს უფლება არა აქვს იყოს არა თუ გამგეობის წევრად არამედ თვით ამხანაგობის წევრათო. და მაინც წინადადება მისცა კრებას მოეხსნა მ. ჭელიძის კანდიდატურა.

მთელი კრება ასეთ პარტიულ-„დასელურ" ქიშპობას წინ ლუდგა და მოითხოვა ისევ ერთხმად აერჩია მ. ჭელიძე.

შემდეგ ისევ ლაპარაკობს რ. წივწივაძე, მაგრამ მისი ხმა არ ისმის, რადგან საზოგადოებაში ისმის ყვირილი მის წინააღმდეგ: „გაიყვანეთ, გაიყვანეთ აქედან, მაგან (რ. წივწივაძემ) კოოპერატივის ქონება შეგვიჭამა და ეხლა აქაც აღარ გვაყენებს და ხელს გვიშლისო"—ზოგიერთს წინადადება შემოაქვს რ. წივწივაძე მთლად გამორიცხულ იქნას ამხანაგობის წევრობიდან. მაგრამ ისინი მაინც არა ცხრებიან, ბოლოს ამ გზით რომ ვერაფერ გახდნენ, მოითხოვეს ფარული კენჭის ყრით მოეხდინათ არჩევნები. ამანაც საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია. რადგან დიდი დროს მოითხოვდა და კენჭის ყრა და მოითხოვეს ისევ ერთხმად არჩევას მ. ჭელიძისა.

შემდეგ თავმჯდომარემ ბ. ემელიანე ივ. ცაგარეიშვილმა განუცხადა საზოგადოებას. რომ მას უფლება არა აქვს წესდების ძალით ფარული კენჭის ყრა არ მოახდინოს თუ კი საზოგადოების ერთი წევრი მაინც მოითხოვს ფარული კენჭის ყრას. შემდეგ იძულებული გახდა საზოგადოება ემოქმედა წესდების ძალით.

ამრიგად დაუდგეს ყუთი: გამგეობის წევრის ასარჩევად მ. ჭელიძეს, და მის კანდიდატს ივ. ივ. ქუთათელაძეს—საბჭოს წევრებს: ვლ. ბ. ბახტაძეს, ემ. ივ. ცაგარეიშვილს ილ. ჭავჭანიძეს, და მათ კანდიდატს იაკ. ქუთათელაძეს.

ყველა ზემოდ დასახელებული კანდიდატი დიდი ხმის უმრავლესობით არჩეულ იქმნა. ამრიგად გამგეობის ერთ წევრად არჩეულ იქნა მ. ჭელიძეც, დიდი ხმის უმრავლესობით...

უცნობი.

ტომსკის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მევალეების საყურადღებოდ

კარგად მოგეხსენებათ, ბატონებო, თუ დღეს როგორ ცუდ პირობებში გვიხდება ცხოვრება ჩრდილოეთში გადმოხვეწილ მოსწავლე ახალგაზდობას, როცა ყოველიფერი მამასისხლად ფასობს; თუმცაღა ამ მხრივ ტომსკის ქართველი სტუდენტობა უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით, მაგრამ დღეს საზოგადო სიძვირის ქარიშხალმა აქაც მოახწია და ყოველივე სანოვაგეს თავისი დაღი დაამჩნია. ნუ დაგვიწყდებათ, რომ აქ ამის სიშორეზე მოდიან არა შეძლებული სტუდენტი, არამედ ღარიბი, რომელსაც გაუგონია რომ „ციმბირი ეს მასაზრდოებელი რუსეთისა , იაფად შეგვინახავსო და არც სტყუვდებოდნენ დღეს კი ცოტა შეძლებულ სტუდენტსაც თეთრი პური ენატრება. თქვენ კი ყველანი მოეწყვეთ თბილ-თბილ ადგილებზე და ერთხელაც არ გაიხსენეთ თქვენი ამხანაგები, რომელთა უმეტესობას თბილი სადილი ენატრება. გასულ წელს ყველას სათითაოდ დაგიგზავნეთ ბარათები და მოვაგონეთ თქვენს ვალს, მაგრამ ამას ერთის მეტი არ გამოეხმაურა. ამისთვის მოგაგონებთ, რომ დააჩქაროთ ხვედრი ფულის შემოტანა, თორემ იძულებული ვიქნებით, გაზეთის ფურცლებზე აღვნიშნოთ თქვენი სახელი და გვარი. ვადას ფულის შემოტანისთვის გაძლევთ ორ თვეს დღიდან ამ წერილის გაზეთში მოთავსებისას.

სათვისტომოს გამგეობის დავალებით ხაზინადარი სათვისტომოსი ილ. კობალაძე.

ფული და წერილი გთხოვთ ამ მისამართით გამოგზავნოთ: **Томскъ Студенту медику Икъ Кобаладзе.**

შემოწირულება

ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარე მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი ულრმეს მადლობას უძღვნის ქვემოდ დასახელებულ პირებს, რომელთაც კეთილ ინებეს და ხსენებულ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთათვის თავშესაფარის ასაგებად შემოსწირეს თავისი წვლილი: თ-დმა ალექსანდრ. მიხ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ—100 მ. თ-დმა გ. ალ. ბაგრატიონ მუხრინსკიმ—100 მ. ელის. ვიქტ. მდივნისამ—100 მ. ვას. მიხ. თამამშევმა—100 მ. თ-დმა გიორგი ალ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ—75 მ. კნ. სოფიო ივან. და თ-დ ნიკ. დევ. მელიქიშვილებმა—50 მ. თ-დ გიორგი დიმ. ვეზირიშვილმა—25 მ. ივ. ივ. ზურაბიშვილმა—25 მ. კნ. ნინო და თამარ ჭავჭავაძეებმა—25 მ. დავ. ანტ. დაფქიაშვილმა—20 მ. პელ. ანტ. დაფქიაშვილისამ—20 მ. კნ. ანასტასია და ბარბარე მიხ. ამირაჯიბებმა—10 მ. კნ. ნინო მერ. თაყდგირიძისამ—10 მ. თ-დმა გრიგ. წერეთელმა—5 მ. სულ 665 მ. წინანდელთან ერთად 1678 მ.

ანგარიში.

ქართული წარმოდგენისა ქ. ზ. წ.-კ. გ. ს. ბორჯომის განყოფილების სასარგებლოთ, რომელიც გაიმართა დ. ბორჯომში ამ წლის 2 იანვარს. შემოსავალი ბილეთების გაყიდვისაგან 171 მ. 80 კ. შემოწირულება ფულათ 4 მან. 50 კაპ. ფინჯანი ჩაისაგან 132 მ. სულ შემოსავალი იყო 308 მან. 30 კაპ.

დაიხარჯა: საკრებულოს ბინის ქირა 10 მან. ორი მარკა და ნებართვის აღება 5 მან., აფიშები და ბილეთები 9 მან., ხაშურიდან ორი სცენის მოყვარის მოწვევა 11 მან., გრიმის მასალა 1 მან. 60 კაპ. ბუფეტისა და ფინჯანი ჩაის მოწყობაზე 152 მან. 2 კაპ. საკრებულოს მოსამსახურეს 5 მან. მოსამსახურე ქალებს 2 მან. მუშას 2 მან. მუსიკას 36 მ. 60 კ. სუფრების გასარეცხი 4 მან. 50 კაპ., აფიშების გაკვრა 1 მან. ყვავილების გადმომტანს 1 მან. 50 კაპ., ტანისამოსის ქირა 80 კაპ. ბილეთების მარკები 8 მან. 4 კაპ. სულ დაიხარჯა 250 მან. 42 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 57 მან. 88 კაპ. აქედან ნახევარი გადაეცა ადგილობრივ ლაზარეთს, დახარჩენი წ. კ. ადგილობრივ განყოფილებას.

მასთანავე ულრმეს მადლობას ვწირავ იმ პირთ მხოლოდ რომლებმაც გულწრფელი დახმარებით ხელი მოგვიმართეს საღამოს გამართვაში.

საღამოს გამგე გ. გაშაკიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ბიურო
საწერ მანქანაზე გადაწერის და სწავლისა „შრომა"
გაიხსნა ვაგზლის ქ. დ გოგოლის ქ. №70
იქვე საჭიროა რემინგტონისტკა. 587

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

			ს. წ.	
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
"	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
"	სამგზ.	№ 8,	3.49	დღ.
"	საფ.	№ 4,	9,23	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.18	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8.28	დილ.
ხაშურის	სამგზ.	№ 5,	9.10	დილ.

ტფილისში მოდის:

[illegible]	სამგზ.	№ 10	8 37	[illegible]
"	საფ.	№ 4,	4.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	[illegible]
	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
	ჩქარ.	№ 5,	10 40	საღ.
ხაშურიდან	სამგზ.		6.34	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.

ექიმ ნაკასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ი. ა. ნაკასარდიანი 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის ავადმყ.).
ბ. გ. აკახაროვი: 9¹/₂ [illegible] ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალთა ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის ექიმი ი. ა. ნაკასარდიანი

თევზის მრეწველნი
ძმ. ქეგველოძეები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი [illegible] ხიზილალა, [illegible] ცოტა მარილიანი, შავი „მეშოხნი" [illegible] ა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაითი. მუდმივ გვაქვს ცოცხალი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთ[illegible] ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება.
1086

უპირველესი, რადიკალური და სწრაფი
მასთან იაფი საშუალება
სიფილისს, სახსრების ავადმყოფობას, სახსრებისა და კუნთების ქრონიკულ რევმატიზმის, ნეკრესის ქარების, საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ლითონებით მოწამლულს, თვალის ავადმყოფობას, სიფილისის წყლულებს, წითელას, ხერხემლის გამოფიტვას, დამბლას და სხვას სახქაროდ კურნავს საქვეყნოდ ცნობილი შვეიცარიული საექიმო საშუალება პროფესორ როშის
იოდასტარინი
ნუ შეგვცვლებათ სხვა პატენტოვან საშუალებებში. პროფესორ როშეს პრეპარატი წმინდა საექიმო საშუალებაა, გასინჯულია საუკეთესო ევროპიულ კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი ¹/₂, 16 მანეთი ¹/₄ 8 მანეთი ყოველი მილი 50 მანეთი ღირს. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ. ვისაც რაიმე მოლაპარაკება და პრეპარატის შეკვეთა გსურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 16—1—4. სახელმწიფო ბანკის ახლოს.
Тифлисское Отдѣленiе Парижской Фармацевтической Лабораторiи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16, отд. 1—4. противъ Государственнаго банка.

სუსუნატით (ჭინჭარეა)
ავადმყოფებს
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისთვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება
იმიტომ რომ
ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,
მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება „ურიტალი". სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ
ურიტალი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფობისათვის საჭიროება ექვსი ფლაკონი დაძველებულ ათი ფლაკონი. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანეთის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16, ბაწ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.
За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленiе Парижской-Фармацевтической Лабораторiи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд — 1 — 1. на противъ Государственнаго Банка.

სტამბა „შრომა" [illegible] ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობა